ს-29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
ს-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობისა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. მაისის 24 № 2 ნაწილი მეორე

საქართველოს სახელმწიფო ... წიგნის ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

2. დადგენილება—ამხ. ნ. ი. ბახტაძის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა, ამხ. ბ. ჯ. გოგიას საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დანიშვნისა და კ. დ. კაკაბაძის საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.

3. ინსტრუქცია—ქეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების წესის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.

4. ინსტრუქცია—სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩასატარებლად 1928 წელში.
5. ინსტრუქცია—ს. ს. ს. რ-კის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის № 114 დადგენილების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ (ს. ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წ. № 8, მ. 119) ცხოვრებაში გასატარებლად.

იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

6. დადგენილებანი № 1—წვრიმალი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

7. ინსტრუქცია—სამედიცინო დარგში სოფლად მომუშავეთა და მათ შვილებისათვის სკოლებში შესვლის და მათში სწავლის დროს შეღავათების მინიჭების შესახებ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.

8. ინსტრუქცია—1927 წ. 28 დეკემბრის საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების განსახორციელებლად წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასების დაკლებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის განკარგულებანი.

9. დადგენილება № 9-128—[გამომცხვარ პურზე საცალო ფასების დაწესების შესახებ].

10. დადგენილება № 10-129—სამრეწველო და საკვებ საგნებზე ფასების გამოკიდების შესახებ.

11. დადგენილება № 11-130—სიმინდზე ფასების დაწესების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

2. დადგენილება

ამხ. ნ. ი. ბახტაძის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა, ამხ. ბ. ჯ. გოგიას საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დანიშვნისა და კ. დ. კაკაბაძის საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე ბახტაძე, მისი თხოვნის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. ბესარიონ ჯატუს-ძე გოგია, რის გამოც განთავისუფლებულ იქნეს იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. კირილე დიმიტრის-ძე კაკაბაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა სახ. კომ. განკარგულებანი.

3. ინსტრუქცია

ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების წესის შესახებ.

(გამოცემულია ს. ს- ს. რ. სახ. კომ. საბჭოს დეკრეტის 18 იანვრის 1928 წ. შესასრულებლად— „კანონთა კრებული“ 1928 წ. № 1, მუხ. 9).

ა. დამზადება და გავრცელება ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა და ქანდაკებათა გამოხატულების და საქველმოქმედო მარკებისა.

1. დამზადება ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, რევოლიუციის ბელადების სურათებისა და ქანდაკებათა გამოხატულებისა შეუძლიანთ აწარმოონ სახელმწიფო დაწესებულებებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, ლიტერატურის და გამომცემლობის მთავარ სამმართველოდან ან მისი ადგილობრივი ორგანოებიდან ნებართვის მიღების შემდეგ.

გარდა ამისა საქველმოქმედო მარკების გამოშვების წესი ითვალისწინება ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს 1924 წ. 1 ოქტომბრის დადგენილებით („კანონთა კრებული“ 1927 წ. № 14, მუხ. 147).

2. 1 მუხლში აღნიშნულ საგნების გავრცელებას აწარმოებს:

ა) სახელმწიფო დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია—მთავლიტში ან მის ადგილობრივი ორგანოებისაგან მიღებული ნებართვის რეგისტრაციის შემდეგ (მუხ. 1) შინ. საქ. სახ. კომისარიატში ან სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებებში, მხოლოდ სადაც ასეთი არ არსებობს—მაზრის მილიციის სამმართველოში, იმის და მიხედვით, რომელ რაიონის ფარგლებში (რესპუბლიკის ან მაზრის) სწარმოებს გავრცელება;

ბ) კერძო პირები—გავრცელებისათვის მიღებულ ნებართვის შემდეგ იმ ორგანოებში, რაც დასახელებულია 3. „ა“ მე-2 მუხ.

3. 1 მუხ. დასახელებულ საგნების გასავრცელებლად სახელმწიფო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო პირები აძლევენ თავის რწმუნებულებს ან აგენტებს მოწმობებს, რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული:

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელსაც ენდობა გავრცელება, ბ) გავრცელების რაიონი, გ) მოწმობის მოქმედების ვადა, ამასთანავე ასეთი არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს; დ) გასავრცელებელ საგნების ფასები; ვ) გავრცელების წარმოება, მხოლოდ ნებაყოფლობით და აკრძალვით კერძო ბინებში გასავრცელებლად შესვლისა.

4. გავრცელების შესახებ მოწმობები უნდა წარედგინოს ორ ცალად მე-2 მუხ. დასახელებულ ორგანოებში, რომელთა შორის ერთი ცალი მოწმობისა რჩება აღრიცხვის მიზნით იმ ორგანოში, რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას ან სცემს ნებართვას, მხოლოდ მეორე ცალი კი უბრუნდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სახელმწიფო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ დაწესებულებას, შ. ს. ს. კ. ადმინ. სამმართველოს უფროსის ან სამაზრო ადმინ. განყოფილების უფროსის, ხოლო, სადაც ასეთი არ არსებობს, — მაზრის მილიციის უფროსის ვიზით;

ბ) კერძო პირებს — მოწმობებზე წარწერით იგივე თანამდებობის პირებისა იმის შესახებ, რომ 1 მუხლში დასახელებულ საგნების გავრცელება, რომელზედაც მთავლიტის ორგანოების ნებართვაა, „დაბრკოლებას არ იწვევს".

5. რეგისტრაცია, ნებართვის გაცემა ან უკანასკნელზე უარყოფა უნდა მოხდეს სამი დღის განმავლობაში დღიდან მთავლიტის ორგანოს მიერ გაცემულ სათანადო მოწმობის წარდგენისა.

ბ. ბეჭდვითი ნაწარმოებზე ხელმოწერის და შეკვეთების მიღება.

6. ყველა გამომცემლობანი, რომელნიც ავრცელებენ თავის პროდუქციას რწმუნებულების ან აგენტების საშუალებით, ვალდებულნი არიან მისცენ თავის რწმუნებულებს და აგენტებს, რომელნიც უშუალოდ აწარმოებენ გაყიდვას და ხელის მოწერის მიღებას ბეჭდვითი ნაწარმოებებზე, მოწმობები, რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული:

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელსაც ევალება ხელის მოწერის და შეკვეთების მიღება;

ბ) მისი მოქმედების რაიონი;

გ) მოწმობის მოქმედების ვადა, ამასთანავე ასეთი არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს;

დ) ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება იმ ფასებში, რომლებიც დამტკიცებულია გამომცემლობის მიერ, თანახმად პროსპექტებში და კატალოგებში გათვალისწინებულ პირობებისა;

ე) შეკვეთების და ხელის მოწერის მიმღებ პირის უფლებები;

ვ) ხელის მოწერის წარმოება და შეკვეთების მიღება, მხოლოდ ნებაყოფლობითი.

7. გამომცემლობის ყველა რწმუნებულები და აგენტები, რომელნიც ავრცელებენ ბეჭდვითი ნაწარმოებს ხელის მოწერის საშუალებით და შეკვეთების მიღებით, ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში თავისი მოწმობები შ. ს. ს. კომისარიატში ან სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებებში (მაზრის მილიციის სამმართველოში) იმის და მიხედვით, რომელ რაიონზე ვრცელდება გამომცემლობის რწმუნებულის ან აგენტის მოქმედება.

8. მოწმობები ედგინება სარეგისტრაციო ორგანოში ორ ცალათ. ამათგან ერთი შ. ს. ს. კ. ადმინ. სამმართველოში ან სამაზრო ადმინ. განყოფილების უფროსის (მაზრმილუფროსის) ვიზით უბრუნდება გამომცემლობის რწმუნებულს ან აგენტს, მხოლოდ მეორე- აღრიცხვის მიზნით — რჩება სარეგისტრაციო ორგანოში.

9. რეგისტრაცია უნდა სწარმოებდეს მოწმობის მიღების დროიდან სამი დღის განმავლობაში.

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

10. რწმუნებულები ან აგენტები ვალდებულნი არიან ხელის მოწერის ან შეკვეთის მიღების დროს წარუდგინონ ხელის მომწერს ან შემკვეთელებს თავისი მოწმობები და გამომცემლობის პროსპექტები, პრეისკურანტები და კატალოგები ფასების და ფულის გადახდის პირობების აღნიშვნით.

11. რწმუნებულები და აგენტები ხელის მოწერის და შეკვეთების მიღების დროს ვალდებულნი არიან გააფრთხილონ ხელის მომწერნი და შემკვეთნი მასში, რომ ხელის მოწერა და შეკვეთა სწარმოებს მხოლოდ ნებაყოფლობით და მათ არა აქვთ უფლება შეიდნენ ხელის მოწერის ან შეკვეთის მისაღებათ კერძო ბინებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აგენტები თვით ხელის მომწერის მიერ იქნება მიწვეული.

12. კოლექტიური შეკვეთის ან ხელის მოწერის დროს თითეული პირი, რომელიც შედის კოლექტივში და სურს ხელის მოწერა, აკეთებს ინდივიდუალურად განცხადებას.

13. კოლექტიური ხელის მოწერის ან შეკვეთების მიღების დროს საფაბრიკო-საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტის, უჯრედების ან სხვა ორგანიზაციის მეშვეობით, რწმუნებული ან აგენტი ვალდებულია ინდივიდუალური მოთხოვნილებები ჩააბაროს დასახელებულ კომიტეტში და მიიღოს ცნობა ასეთების მიღებაზე.

14. ანგარიშის გასწორება არ შეიძლება მოხდეს წარმოების მეშვეობით, მხოლოდ შეიძლება სწარმოებდეს პერსონალურად თვითეულ ხელის მომწერის მიერ.

15. ჟეტონების, პაწია ბაირაღების, ბელადების სურათების და საქველმოქმედო მარკების გავრცელების და ხელის მოწერის და შეკვეთების ბეჭდვითი ნაწარმოებებზე მიღების წესების შეუსრულებლობა გამოიწვევს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას ს. ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის 109 მუხ. თანახმად, მხოლოდ კერძო პირებისათვის ს. ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის 104 მუხლის თანახმად.

16. აღნიშნული ინსტრუქცია ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ამასთანავე რწმუნებულთა, აგენტებისა და სხვ. მიმართ, რომელნიც მოქმედებენ იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელთა ვადა ამა ინსტრუქციის გამოცემამდე არ გასულა, ასეთების რეგისტრაცია და მოწესრიგება, თანახმად ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილებებისა, უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან ამა ინსტრუქციის გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბერია.**

შ. ს. ს. კ. ადმინ. სამ. უფროსი, რესპ. მილუფროსი **ბერაძე.**

1928 წ. აპრილის 7. № 0122.
ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის სახ. კომისარიატის განკარგულებანი.

4. ინსტრუქცია

მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიებისათვის

სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩასატარებლად 1928 წელში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიებს სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესით:

1. ვინაიდან საორგანიზაციო, მოსამზადებელი და საარჩევნო მუშაობა უნდა იქნეს შეფარდებული იმ ვადებთან, რომელიც დაწესებული არის საბჭოების, საანგარიშო კამპანიისათვის, მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიები, მოწყობისთანავე, იმ წესის თანახმად, რომელიც არსებობს ამ საგანზე, აწარმოებენ კონტაქტიურ მუშაობას თემალმასკომებთან და პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან.

2. მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიები მას შემდეგ, როდესაც აღნუსხავენ ცნობებს სახალხო მსაჯულთა რიცხვის შესახებ, რაც საჭიროა 1928 წელში სასამართლოების მუშაობისათვის, პროცენტულ შეფარდების გამოანგარიშებისთანავე მოახდენენ დანაწილებას თვითეულ უბნის სახალხო სასამართლოსათვის საჭირო სახალხო მსაჯულთა რიცხვს თემებს შორის.

3. მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიები გამოიანგარიშებენ სახალხო მსაჯულთა რაოდენობას, რომლის არჩევაც საჭიროა თვითეულ თემიდან, პროპორციონალურად მის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, რასაც აცნობებენ თემალმასკომს, რომელიც ჩაატარებს არჩევნებს; ამასთან კომისიები იღებენ მხედველობაში როგორც პროცენტულ შეფარდებას, აგრეთვე სახალხო მსაჯულთა იმ რაოდენობას, რაც ამა თუ იმ სასამართლო უბანს ესაჭიროება.

4. სახალხო მსაჯულთა განაწილების დროს თემებს შორის კომისიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ზოგიერთ თემების სიშორე სასამართლოდან და ამ თემებში სასამართლოს სესიების მოწყობის ფაქტიური შესაძლებლობა; ასეთ დაშორებულ თემებიდან საჭიროა შეიტანონ სამაზრო სასამართლოს სიაში არა ნაკლებ 4 მსაჯულისა და სახალხო სასამართლოს სიაში არა ნაკლებ 10 მსაჯულისა.

5. საჭიროა განემარტოს თემალმასკომებს და პროფორგანოებს, რომ სახალხო მსაჯულთა კანდიდატთა სიების შედგენის დროს სიაში აუცილებლივ შეტანილ უნდა იქნენ სახალხო მსაჯულნი, როგორც სახალხო სასამართლოსათვის, აგრეთვე სამაზრო სასამართლოსათვისაც, სამაზრო კომისიის მიერ განსაზღვრულ რაოდენობით.

შენიშვნა. სახალხო მსაჯულნი სამაზრო სასამართლოსათვის აირჩევიან იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერთი წლისაზე არა ნაკლები სტაჟი სახელმწიფო, პროფესიონალური ან საზოგადოებრივი ორგა-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ნიზაციებში მუშაობისა; მათ შორის სპეციალურად სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობისათვის არჩეულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 25 კაცისა იმ პირთაგან, რომელნიც მუშაობენ სამეურნეო (სახელმწიფო და კოოპერატ.) საწარმოში.

6. მუშების შესახებ მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიები გამოიანგარიშებენ, მუშათა რაოდენ რიცხვზე უნდა იქნეს არჩეული თითო სახალხო მსაჯული; ამისათვის კომისიებს უნდა ქონდეს მხედველობაში საერთო რიცხვი სახალხო მსაჯულებისა, რომელნიც უნდა არჩეულ იქნენ მუშების მიერ პროცენტულ შეფარდების მიხედვით, და საერთო რიცხვი პროფკავშირების წევრებისა.

ამის შემდეგ კომისიები გამოიანგარიშებენ სახალხო მსაჯულთა რიცხვს, რომელიც უნდა აირჩიოს თვითეულმა პროფკავშირმა პროფკავშირების წევრთა რიცხვის მიხედვით, და ეს რიცხვი ეცნობება თვითეულ პროფკავშირს სათანადო მაუწყებლის გაგზავნით.

7. პროფკავშირები მაუწყებლის მიღებისთანავე თვითონ გამოიანგარიშებენ წარმოებებში მომუშავე მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, რამდენი სახ. მსაჯული საჭიროა არჩეულ იქნეს ამა თუ იმ წარმოებიდან და დაწესებულებიდან, რაზედაც აცნობებენ ფაბქარხკომებს და ადგილკომებს წინადადების მიცემით, რათა სახალხო მსაჯულთა არჩევნები მოხდეს მუშების და მოსამსახურეების საერთო კრებებზე.

8. სამხედრო ნაწილების შესახებ კომისიები არ კრეფენ ცნობებს სამხედრო ნაწილების რიცხობრივ შემადგენლობის შესახებ, მხოლოდ შეატყობინებენ პოლიტგანყოფილებას ან ცალკე სამხედრო ერთეულს, რამდენი სახალხო მსაჯული უნდა იქნეს არჩეული სამხედრო ნაწილების მიერ თვითეულ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე.

პოლიტგანყოფილება თავის მხრივ გამოიანგარიშებს, მსაჯულთა რაოდენი რიცხვი ხვდება თვითეულ სამხედრო ნაწილს უკანასკნელის რიცხობრივი შემადგენლობის მიხედვით.

9. არჩევნების ჩატარების დროს უნდა მიექცეს ყურადღება სასამართლოს მუშაობაში მოჯამაგირეების, მუშა-ქალების და გლეხი ქალების ჩაბმას და სახალხო მსაჯულთა კადრის შექმნას ეროვნულ უმცირესობიდან, თუ ასეთები მოსახლეობენ უბანში.

10. საარჩევნო კრების საგანია:

ა) განხილვა სახალხო და მაზრის მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა საანგარიშო მოხსენებებისა მათი მუშაობის შესახებ;

ბ) განხილვა სახალხო მსაჯულებისათვის განაწესის პროექტისა 1928 წლ.

11. თვით სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს საბჭოების საანგარიშო კრებებზე. ამ კრებებზე არჩევნების დაწყებამდე ამომრჩევლებისათვის განმარტებულ უნდა იქნეს დანიშნულება და მნიშვნელობა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტისა საბჭოთა სასამართლოს სისტემაში.

საარჩევნო კრების ოქმზე, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნენ არჩეული სახალხო მსაჯულნი, ხელს მოაწერს კრების პრეზიდიუმი.

12. ყველა არჩეულთა შესახებ შესდგება ერთი საერთო სია (ანკეტა), ამასთანავე თანდართულ ფორმით, რომელიც შევსებულ უნდა იქნეს მოთხოვნილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობების მიხედვით, და ასეთი გადაეცემა თემალმასკომს, პროფკავშირს, ადგილ-კომს, პოლიტგანყოფილებას ან ცალკე სამხედრო ერთეულს. ყოველივე მოქალაქეს შეუძლიან განუცხადოს აღნიშნულ ორგანოებს დასაბუთებული განყენება არჩეულის წინააღმდეგ 3 დღის განმავლობაში დღიდან არჩევნებისა.

სამი დღის ვადის განვლის შემდეგ ზემოაღნიშნული ორგანოები არჩეულ სახალხო მსაჯულთა სიებს უშუალოდ გაუგზავნიან მაზრის და მაზრა-ქალაქის სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კომისიებს განყენების განცხადებებისა და მათზე თავიანთი დასკვნის თანდართვით.

13. მაზრის და მაზრა-ქალაქის სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კომისიები, სახალხო მსაჯულთა სიების ადგილებიდან მიღებისთანავე, გამორიცხავენ წარმოდგენილ სიებიდან იმ პირებს, რომელნიც არ აკმაყოფილებენ სახალხო მსაჯულებისათვის შესაფერ მოთხოვნებს, აგრეთვე ისეთ პირებსაც, რომლის წინააღმდეგ წამოყენებული განყენება ცნობილ იქნება პატივსადებათ.

შემდეგ ეს კომისიები წარმოდგენილ სიებიდან გამოჰყოფენ განსაკუთრებულ სიას სამაზრო სასამართლოსათვის რიცხვით არა ნაკლებ 100 კაცისა და ამ სიას წარუდგენენ საბოლოოდ დასამტკიცებლად მაზრის აღმასკომს. სახალხო სასამართლოებისათვის საჭირო სახალხო მსაჯულთა სიას დაამტკიცებს თვით საარჩევნო კომისია და გადაუგზავნის სასამართლოებს.

შენიშვნა. იმ პირებს, რომელნიც მაზრის და მაზრა-ქალაქის კომისიების მიერ გამორიცხულნი იქნებიან მსაჯულთა სიიდან, აქვთ უფლება თავიანთი გამორიცხვა განასაჩივრონ შვიდი დღის ვადაში მაზრის აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და ასეთის განსაჩივრება არ შეიძლება.

იუსტიციის სახალხო კომისრის მაგ.—**თ. დოლიძე.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის
განყოფილების გამგე—**სიჭინავა.**

1928 წ. იანვრის 25.

---

5. ინსტრუქცია

ს. ს. ს. რ-კის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის № 114 დადგენილების „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ" (ს. ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წ. № 8 119 მ.) ცხოვრებაში გასატარებლად.

1. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილება ვრცელდება ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა საერთო სახელმწიფო (საერთო საკავშირო და სარესპუბლიკო მნიშვნელობის) და ადგილობრივ დაწესებულების, საწარმოსი და კოოპერატიული ორგანიზაციის იურისკონსულტებზე, აგრეთვე ამ საქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) იურისკონსულტებზე, რომელშიც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს ან რომელიც მარტო ამ კაპიტალით მოქმედობს (როგორც წესდების ძალით, ისე ფაქტიურად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იურისკონსულტად იგულისხმება ყველა ის თანამდებობის პირი, რა სახელწოდებაც არ უნდა ჰქონდეს მის თანამდებობას (იურისკონსულტი, კონსულტანტი და სხვ.) ან რა სხვა საქმესაც არ ასრულებდეს იგი, ვინც დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ფაქტიურად ასრულებს დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნულ მოვალეობას.

3. მთავრობის უმაღლეს ორგანოთა იურისკონსულტებზე (კონსულტანტებზე და სხვ.), რომელთაც დაკისრებული აქვთ მხოლოდ ის მოვალეობა, რაც აღნიშნულია დადგენილების მე-5 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში, ამ დადგენილების მე-8 და 11 მუხ. არ გავრცელდება. სხვა დანარჩენში მათზე ვრცელდება როგორც დადგენილება, ისე ეს ინსტრუქციაც.

4. იმ პირობების განსაზღვრის დროს, რომელნიც საჭიროა იურისკონსულტის თანამდებობაზე დასანიშნავად (დადგენილების 2 მუხ.), უნდა მხედველობაში მიღებულ იქნეს: ა) რომ სპეციალური იურიდიული განათლება ნიშნავს უმაღლეს სასწავლებელში დამთავრებულ იურიდიულ განათლებას; ბ) რომ პრაქტიკულ საპასუხისმგებლო მუშაობად საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში (დადგ. მე-2 მუხ. „გ“ პუნქ.) ჩაითვლება ისეთ თანამდებობაზე მუშაობა, რაც მდივნის თანამდებობაზე დაბალი არ არის, და გ) რომ იმ პირთ, ვინც შეესაბამება დადგენილების მე-2 მუხ. „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირობებს, უკეთუ მათ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ მდივნის თანამდებობაზე უმსახურიათ ან 1921 წლამდე მიუღიათ უმაღლესი იურიდიული განათლება, და ამასთან პრაქტიკულად არ უმუშავნიათ საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში ან დამცველთა კოლეგიის წევრად, შეიძლება დაენიშნოთ გამოცდა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ იციან და შეუთვისებიათ მათ საბჭოთა სამართალი. ამ გამოცდების პირობები და წესი ისეთივეა, რაც მიღებულია დამცველთა კოლეგიის წევრად ჩარიცხვის დროს წარმოებული გამოცდებისათვის.

5. დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ „განსაკუთრებულ შემთხვევად“, რომლის დროსაც დაწესებულების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელი დაწესებულების თუ საწარმოს ნებართვით შეიძლება დაშვებულ იქნეს შეთავსება, ჩაითვლება ან ის გარემოება, რომ იურისკონსულტის სამუშაო დღე მთლად არ არის დატვირთული მისი ძირითადი მუშაობით, ან ის, რომ ადგილობრივ შეუძლებელია შესაფერი კვალიფიკაციის პირის მოძებნა. ყველა ასეთი შემთხვევა უნდა ეცნობოს ადგილობრივ პროკურორს, რომელიც, თუ საფუძვლიანად არ სცნობს იურისკონსულტის მიერ ორი თანამდებობის შეთავსებას, აღძრავს საკითხს იურისკონსულტის მოხსნის შესახებ.

6. იმ პირის დანიშვნა იურისკონსულტად, ვინც არ შეესაბამება დადგენილების მე-2 და 3 მუხ. გათვალისწინებულ პირობებს, არ შეიძლება. ის, ვისაც ჩამოერთვა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, მოიხსნება თავის თანამდებობიდან, თუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა ან ამა ინსტრუქციის მიღებისა, მის შუამდგომლობას აღნიშნული უფლების მინიჭების შესახებ, სათანადო შემთხვევაში, არ შეიწყნარებს აღმასკომი ან თუ ეს უკანასკნელი არ დაუჭერს ამ შუამდგომლობას მხარს და არ წარუდგენს მას საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმს გადასაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,ამავე ვადაზე უნდა ლიკვიდაცია ექმნას დადგენილების მე-3 მუხლით აკრძალულ შეთავსების შემთხვევას.

7. რაც შეეხება დადგენილების მე-4 მუხლს, რომლითაც იურისკონსულტებს ეკრძალებათ კერძო პირის და საწარმოს წარმომადგენლობა, აქ სახელმძღვანელოდ უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი:

ა) კატეგორიულად აკრძალულია კერძო პირის და საწარმოს ისეთი სამოქალაქო საქმის წარმოება, სადაც მოწინააღმდეგე მხარედ ან მესამე პირად ამ მხარეზე არის ამ ინსტრუქციის 1 მუხლში ჩამოთვლილი დაწესებულება, საწარმო თუ ორგანიზაცია. აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ პირთა დაცვა ისეთ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც განცხადებულია ან შეიძლება განცხადებულ იქნეს ზემოთხსენებულ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სამოქალაქო სარჩელი. ეს აკრძალვა არ ვრცელდება ისეთ საქმეებზე, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნაში.

ბ) აკრძალულია ადმინისტრატიულ დაწესებულებებში კერძო პირთა ისეთი საქმის წარმოება, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მატერიალურ ინტერესებთან (მაგ., შუამდგომლობა შეწერილი გადასახადის შესახებ, შენობების ან საწარმოს დემუნიციპალიზაციის ან დენაციონალიზაციის შესახებ და სხვ.).

გ) საქმის წარმოება ნიშნავს როგორც სასამართლოში გამოსვლას და საქმის საწარმოებლო ქაღალდების მიცემას, ისე ასეთი ქაღალდების, ხელშეკრულებების, შერიგების პირობების და სხვ. შედგენა-შემუშავებას, და ამას გარდა რჩევა-დარიგების მიცემას ამა მუხლის „ა" და „ბ" პ. აღნიშნულ საქმეებზე.

დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში იურისკონსულტს შეუძლიან, სასამართლოსი ან დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დანიშვნით, მონაწილეობა მიიღოს ისეთ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც სახელმწიფო დაწესებულებისა და სხვ. მიერ აღძრულია ან შეიძლება აღიძრას სამოქალაქო სარჩელი.

8. მშრომელად, რომელთა ინტერესების წარმომადგენლობა დაშვებულია დადგენილების მე-4 მუხ. შენიშვნით, ჩაითვლება ყველა ის, ვისაც ს. ს. ს. რ. კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საარჩევნო უფლება.

9. იურისკონსულტების თათბირი მოეწყობა ქ. ტფილისში—რესპუბლიკის პროკურორთან, ქუთაისში—უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის პროკურორთან, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სამაზრო პროკურორებთან.

10. აღნიშნულ თათბირში, გარდა იმ დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციების იურისკონსულტებისა, რომელნიც მოქმედობენ ამა თუ იმ ტერიტორიის ფარგლებში, მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სასამართლოსი, პროკურატურის, საარბიტრო კომისიის და საადგილ-მამულო კომისიის თითო წარმომადგენელიც. თათბირის და თათბირის ბიუროს თავმჯდომარეა: ქ. ტფილისში რესპუბლიკის პროკურორი, ხოლო, თუ იგი ადგილზე არ არის,—მისი მოადგილე, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს პროკურორი ან და იუსტიციის სახ. კომისარიატის ცენტრალური პროკურატურის პროკურორი, რომელიც საამისოდ დანიშნულ იქნება რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით; ქ. ქუთაისში—უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის პროკურორი, ან მისი დანიშვნით ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ადგილობრივი სამაზრო პროკურორი, დანარჩენ ადგილებში კი—სათანადო სამაზრო პროკურორი.

11. იურისკონსულტების თათბირის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც კი იურისკონსულტების ორგანიზაციას და მოქმედებას შეეხება.

ბ) იმ მუშაობის საერთო გეგმის განხილვა და დამტკიცება, რაც უნდა გასწიოს თათბირმა მისთვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად.

გ) თავის წევრთა შორის ბიუროს ამორჩევა და ამ ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენების მოსმენა-განხილვა.

დ) თათბირის სექციების მოწყობა სამართლის სხვადასხვა საკითხზე და ამ სექციების მოქმედების შესახებ მოხსენებების მოსმენა-განხილვა.

ე) იურისკონსულტების მოქმედების შესახებ მოხსენებათა მოსმენა-განხილვა პრაქტიკაში აღძრული სამართლის საკითხების გადაწყვეტისა და აგრეთვე კანონების ერთნაირად განმარტებისა და შეფარდების მიზნით.

ვ) სამართლისა და საბჭოთა კანონმდებლობის საერთო საკითხების შესახებ მოხსენებების მოსმენა-განხილვა და

თ) იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რაში უნდა გამოიხატოს იურისკონსულტების მონაწილეობა სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმეში.

12. იურისკონსულტების თათბირს შეუძლიან მოაწყოს ცალკე სექციები სამართლის სხვადასხვა საკითხზე. სექციის შედგენილობა და მისი მოქმედების წესი განისაზღვრება თათბირით.

13. თათბირის მიმდინარე საქმეების სახელმძღვანელოდ არსდება იურისკონსულტების ბიურო, რომელშიც შევლენ საპროკურორო ზედამხედველობის და სასამართლო ორგანოების წარმომადგენელნი.

14. დანარჩენში იურისკონსულტების თათბირის, მისი ბიუროს და სექციების მუშაობის წესი განისაზღვრება ინსტრუქციებით, რომლებსაც შეიმუშავებს ქ. ტფილისში იუსტ. სახ. კომისარიატის ცენტრალური პროკურატურა, სხვა ადგილებში კი ამ ინსტრუქციებს შეიმუშავებს სათანადო პროკურორი სასამართლოსა, საარბიტრო კომისიასა და საადგილ-მამულო კომისიასთან შეთანხმებით და წარუდგენს დასამტკიცებლად რესპუბლიკის პროკურორს.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბ-
ლიკის პროკურორი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. თებერვლის 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დადგენილება № 1.

1928 წ. იანვრის „9“.

წვრილმალი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ.-ის სისხ. სამ. კოდ. 187 მუხლის შენიშვნის ძალით საქ. სოც. საბჭ. რ.-ის შრომის და იუსტიციის სახალხო კომისარიატები ადგენენ:

1. მუშა ან მოსამსახურის მიერ თავის საწარმოში პირველად ჩადენილი წვრილმალი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობა წარმოების მასალისა და იარაღისა, უკეთუ მოპარული საგნის ღირებულება თხუთმეტ მანეთს ან აღემატება, გამოიწვევს დისციპლინალურ გადასახდელს ამა დადგენილების წესისამებრ.

2. ქურდობის ფაქტი დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ დამნაშავე დაჭერილი იქნება დანაშაულის ადგილას ნაქურდალით ან თუ იგი დადასტურდება სხვა უდავო დამამტკიცებელი საბუთით და აგრეთვე ისეთი მოწმის ჩვენებით, რომელიც ქურდობას შეესწრო; ქურდობის ყოველ ცალკე შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნეს აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ადმინისტრაცია, მოწმეები და თანამოწმეები.

3. დისციპლინალური გადასახდელის ღონისძიებაა:

ა) შენიშვნა, გამოცხადებული ამქარში ან მთელ ქარხანაში;

ბ) სატარიფო კატეგორიის დაწევა;

გ) უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება;

შენიშვნა. სატარიფო კატეგორიის დაწევა ან უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ვადით, არა უმეტეს 6 თვისა.

4. დისციპლინალურ გადასახდელს დაადებს საწარმოს ადმინისტრაცია; ამასთან მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან ამა თუ იმ ღონისძიების ამორჩევის დროს უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა ის გარემოება, რომელშიაც მოხდა ქურდობა. ღონისძიების ამორჩევა უნდა აუცილებლად დასაბუთებული იყოს.

5. დადგენილება ესე არ ვრცელდება ისეთ ქურდობის საქმეებზე, რაც ჩადენილი იყო ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ს. თოდრია.**

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 15 №-ში 1928 წ. იანვრის 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების და ჯანმრთელობის სახ. კომ. განკარგულებანი.

7. ინსტრუქცია

სამედიცინო დარგში სოფლად მომუშავეთა და მათ შვილებისათვის სკოლებში შესვლის და მათში სწავლის დროს შეღავათების მინიჭების შესახებ.

(გამოცემულია თანახმად მე-8 მუხლის შენიშვნისა სახკომსაბჭოს 1927 წლ. 15 ივნისის დადგენილებისა „სოფლის სამკურნალო დახმარების უზრუნველყოფისათვის და სასოფლო-სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ“ ს. ს. ს. რ. კან. კ. 1927 წ. № 6, მუხ. 95).

1. სამედიცინო დარგში მომუშავენი და მათი შვილები, რომელ მომუშავეთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა, სარგებლობენ ყველა შეღავათიან პირობებით, რომელიც დაწესებულია მუშების შვილების უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და 1-ლი და მე-2 საფეხურის სკოლებში შესვლისათვის.

2. ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში სწავლის ქირიდან სრულიად თავისუფალნი არიან შვილები სოფლად სამედიცინო დარგში იმ მომუშავეების, რომელთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა.

3. ამა ინსტრუქციის მეორე მუხლში აღნიშნული მოსწავლენი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ სტიპენდიით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **გრ. კუჭაიძე.**

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

1928 წ. აპრილის 5.
ტფილისი—სასახლე.

მიწათ-მოქმედების სახ. კომ. განკარგულებანი.

8. ინსტრუქცია

1927 წ. 28 დეკემბრის საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების განსახორციელებლად წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასების დაკლებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ეგზ. სასადგილმამულო განყოფილებებს.
საქართვ. სახალხო მამულთა ტრესტს.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის, ს. ს. რ. აფხაზეთის და აჭარისტანის მიწსახკომების ცნობად.

1927 წ. 28 დეკემბრის საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების მე-4 პუნქტის თანახმად წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასების დაკლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონისძიებათა მიღების შესახებ, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა:

1. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხები, რომელნიც ჩამოეწერათ საბჭოთა მეურნეობებს, მოხმარებულ უნდა იქნეს გლეხებზე გასაცემ სათესლე ფასის დასაწევად; ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მამულები წარუდგენენ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იმ ორგანოების საშუალებით, რომელსაც ექვემდებარებიან აღნიშნული მამულები, ცნობებს იმ სივრცის შესახებ, რომელზედაც დათესილი იყო 1927 წ. წმინდა ხარისხის თესლი, ამ თესლის მოსავლის რაოდენობის შესახებ კულტურების მიხედვით და ამავე თესლის განზრახულ განაწილებას შესახებ კერძო ან კოლექტიურ გლეხურ მეურნეობებს შორის.

2. ამ ინსტრუქციის პირველ მუხლში აღნიშნულ ცნობების თანახმად, საქართვ. მიწსახკომი შეიმუშავებს გეგმას როგორ განაწილდეს სათესლე მასალა ყოველ საბჭოთა მამულში ცალკე, და ამ გეგმის, დამტკიცების შემდეგ შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშავებს თესლის გასაცემ ფასებს ყოველ კულტურის და ხარისხის მიხედვით.

3. სათესლე მასალის ფასების დაკლება ხდება დაკავშირებით თესლის რაოდენობასთან, რაც გეგმით განზრახულია გლეხებზედ გასაცემად და იმ თანხებთან, რომელიც ჩამოწერილია მიმდინარე 1927/28 წ. მთლიან სას. სამეურნეო გადასახადებზე.

4. სათესლე მასალის განაწილების გეგმა და დაწესებული გასაცემი ფასები ეცნობება საბჭოთა მამულის გამგეებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

5. 1927/28 წ. სათესლე მასალის რეალიზაციის შემდეგ საბჭოთა მამულები ვალდებულნი არიან წარუდგინონ საქ. მიწსახკომს საანგარიშო ცნობები ამა ინსტრუქციით გათვალისწინებულ ფასების დაკლების შესრულების შესახებ.

მიწსახკომის მოადგილე **მ. ძამანაშვილი.**

საქმეთა მმართველი **თ. ლუკავა.**

1928 წ. მარტის 17.

ა.-კ. ვაჭრ. სახკომის რწმუნ. განკარგულებანი.

9. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9/128

1928 წ. იანვრის 28.

შესაცვლელად ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს 1927 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილებისა № 1/120 ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

§ 1.

დაწესებულ იქნას გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი საცალო ფასები კოოპერაციისა, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის ქ. ტფილისში:

I ხარისხის 1 კილოგრამი . . . . . 20 კაპ.
II „ „ „ . . . . . 17 კაპ.
III „ „ „ . . . . . 15 კაპ.

§ 2.

დაწესებულ იქნეს გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი საცალო ფასები კოოპერაციისა, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიის რკინის გზის ხაზზე მდებარე ყველა ქალაქებსა და ადგილებში:

I ხარისხის 1 კილოგრამი . . . . . 22 კაპ.
II „ „ „ . . . . . 17 კაპ.
III „ „ „ . . . . . 14,5 კაპ.

§ 3.

დაწესებულ იქნეს გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი საცალო ფასები კოოპერაციისა, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. ტერ. რკინის გზის ხაზის გარეშე მდებარე ყველა ქალაქებისა და ადგილებში:

I ხარისხის 1 კილოგრამი . . . . . 24 კაპ.
II „ „ „ . . . . . 19 კაპ.
III „ „ „ . . . . . 16,5 კაპ.

§ 4.

დაწესებულ იქნეს ქართულ (თონის) პურზე საცალო ფასები 2 კაპ. მეტი თითო კილოგრამზე ხარისხების მიხედვით.

§ 5.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და ყველა ადგილობრივი აღმასკომების შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 6.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 7.

დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. 1-ლ თებერვლიდან.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებ. მოადგ. საქართველოში **კაკაბაძე.**

საქმეთა მმართველი **მგალობლიშვილი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 24 №-ში 1928 წ. იანვრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დადგენილება № 10/129.

1928 წ. თებერვლის 11.

სამრეწველო და საკვებ საგნებზე საცალო ფასების გამოკიდების შესახებ.

თანახმად ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახკომისარიატის ა. წ. თებერვლის 7 დადგენილებისა № 1 ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაევალოს ყველა სახელმწიფო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო ვაჭრებს, რომელნიც საცალო ვაჭრობას აწარმოებენ ს. ს. ს. რ ფარგლებში, აღნიშნონ საცალო ფასები რწმუნებულის სამმართველოს მიერ დანორმილ საქონელზე განსაკუთრებულ იარლიკების დაწესების ან გამოკიდების საშუალებით.

§ 2.

ყველა სხვა საქონელზე საცალო ფასების აღნიშვნა უნდა ხდებოდეს თანახმად ამა დადგენილების პირველ მუხლში გათვალისწინებულ წესისა იმ შემთხვევებში, როდესაც არა დანორმილი საქონელი მოთავსებული იქნება ვიტრინაში.

§ 3.

საცალო ფასები უნდა იქნას აღნიშნული მხოლოდ მეტრიულ საზომ ერთეულებში.

§ 4.

აკრძალულია 400 გრამზე ფასების დაწესება და მისი გამოკიდება.

§ 5.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომლებიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას, და ადმინისტრატიულ განყოფილებას ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 6.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 7.

აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებ. მოადგილე საქართველოში **კაკაბაძე.**

მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი **მგალობლიშვილი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 50 №-ში 1928 წ. მარტის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დადგენილება № 11/130

1928 წ. თებერვლის 13.

სიმინდზე ფასების დაწესების შესახებ.

თანახმად ა/კ. ვაჭრობის სახკომატის დროებითი დებულების მე-4 კარის პუნქტი „მ“-სა, სიმინდის ბაზრის მოწესრიგების მიზნით ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საზღვრითი საგასაცემო ფასი სიმინდზე—ერთი ცენტნერი—8 მან. 96 კაპ. ფრანკო რონოდა დანიშნულების სადგური.

§ 2.

სიმინდით საცალო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მაქსიმალური საზღვრითი ზედნართი 10%-ს რაოდენობით ამა დადგენილების § 1-ში აღნიშნულ საგასაცემო ფასებზე.

§ 3.

რკინის გზიდან დაშორებულ ადგილებში სიმინდით ვაჭრობის დროს ამა დადგენილების § 1-ში აღნიშნულ საგასაცემო ფასებს უნდა დაემატოს შარაგზით ტვირთზიდვის ხარჯები მათი ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

§ 4.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **სააკიანი.**

ვ/მომწესრიგებელი განყოფილების უფროსის მოადგილე **მგალობლიშვილი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 59 №-ში 1928 წ. მარტის 11.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 921. დაიბეჭდა 1.000.